ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N20

17.03.2023 წელი
13:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 17 მარტს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), **ირაკლი ეძგვერაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **ირაკლი თავართქილაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032307237-03, 13.03.2023წ.),*
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი,
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-0323044110-03, 13.02.2023წ.),*

მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი,

3. **„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ N01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ: 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-0323074112-03, 15.03.2023წ.),*

მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **განათლებისა და კულტურის** კომისიასთან ერთად.

გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულებაში შედის როგორც შინაარსობრივი, ასევე ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც გარკვეულწილად დააზუსტებს სამსახურის საქმიანობას, გაწეული საქმიანობიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე ხდება დაზუსტება და საჭირო კორექტირება, რომელიც კიდე უფრო სრულყოფილს გახდის სამსახურის დებულებას. აღსანიშნავია სპორტული მედიცინის და ფიზიკური რეაბილიტაციის სერვისების განვითარების ხელშეწყობის დამატება, რაც ხელს შეუწყობს არამარტო ჯანსაღი ცხოვრების წესისა და პროფესიული სპორტის განვითარებას, არამედ მოქალაქეებისთვის სპორტული მედიცინისა და ფიზიკური რეაბილიტაციის სერვისების ხელმისაწვდომობას.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მნიშვნელოვანია ცვლილებაა, რომელიც შეეხება სპორტული მედიცინის მიმართულებას.

ირაკლი გვილავა - დიახ, სპორტული მედიცინის მიმართულებით საქალაქო სამსახურს აქვს გარკვეული იდეები და ვფიქრობთ უახლოეს მომავალში საკრებულოს წარმოგიდგინოთ აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა პროექტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე (2).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, ქვეპროგრამის სპორტი უფროსი თაობისთვის ფარგლებში, საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესში ცვლილების შესახებ ინფორმაცია კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - პროგრამა სპორტი უფროსი თაობისთვის საკმაოდ მოთხოვნადია, სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ხდება ცვლილება, რომელიც საშუალებას მოგვცემს გარდა მუნიციპალური სპორტული სერვისისა ჩავრთოთ კერძო სექტორი, რათა ჩვენმა ბენეფიციარებმა სხვადასხვა მისამართზე შეძლონ საცურაო აუზით და ფიტნეს დარბაზით სარგებლობა, სურვილი გვაქვს ყველა რაიონში და ყველა უბანში იყოს ხელმისაწვდომი სპორტული სერვისი, პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებისათვის. უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ოფიციალური შეხვედრების გამართვას ორგანიზაციებთან, ჩვენი წინადადებების და ხედვის შეთავაზებას, რის შემდეგაც გამოვაცხადებთ ოფიციალურად რეგისტრაციას და სპორტული პროფილის კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მნიშვნელოვანი საკითხია პროგრამა სპორტი უფროსი თაობისთვის, რომელსაც დიდი მოთხოვნა აქვს. კარგია, რომ კერძო სექტორის ჩართულობა იქნება შესაძლებელი. მსგავსი პრეცედენტი მუნიციპალიტეტს უკვე აქვს ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით, რომელიც მოზარდებზეა ორიენტირებული.

ნონო კვიტაშვილი - გენდერული კუთხით როგორი სიტუაციაა?

ირაკლი გვილავა - უფრო მეტად ქალბატონები ჭარბობენ.

კომისიამ, ასევე იმსჯელა წესის 3[1] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებთან მიმართებაში და მიიღო გადაწყვეტილება გარკვეული ტექნიკური ცვლილების განხორციელების თაობაზე (დანართი 1).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე - (6),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის, წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, მზიურის სტადიონის უზუფრუქტის წესით ა(ა)იპ 7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის გადაცემის შესახებ საკითხი კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი თავართქილაძე - მოგესალმებით, პროექტის თანახმად ა(ა)იპ 7X7 ფეხბურთის ასოციაციას გადაეცემა მზიურის მიმდებარედ არსებული სტადიონი, რომელიც საქალაქო სამსახურმა სრულად გაარემონტა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა. დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ სტადიონზე ისედაც იმართება მასტერ ლიგის ჩემპიონატები და აღარ რჩება დრო, რომ მუნიციპალიტეტმა გამოიყენოს სხვა ინტერესებისათვის, შესაბამისად ხდება აღნიშნული

ასოციაციისთვის გადაცემა ორი წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ასოციაცია უზრუნველყოფს ჩემპიონატების ჩატარებას და აღნიშნული სტადიონის მოვლა-პატრონობას.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - დავაზუსტებ, რომ ასოციაციას სარგებლობაში გადავცემთ სტადიონს მხოლოდ ორი წლის ვადით.

ირაკლი თავართქილაძე - დიახ, როდესაც ინვესტიციას არ ახორციელებს ორგანიზაცია, მუნიციპალიტეტს 2 წელზე ხანგრძლივი დროით გადაცემის უფლება არ გვაქვს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ N01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე (2).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ N01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

დანართი [1] - რედაქტირებული დადგენილების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე